

## მასტანბ კოტიტიზვილი (საქართველო)

### „სიძველის ბალასტი“

თანამედროვე „ახალი მწერლობის შესახებ“ უკვე ვთქვით ჩვენი აზრი, მაგრამ თუ ვისმეს ჰგონია, რომ ჩვენი სიმპატიები „ძველებისკენ“ არის, შეცდომაში ვარდება.

თავიდანვე უნდა განვსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ „ძველის“ სახელწოდებით. თუმცა ეს კვალიფიკაცია არ იქნება სრული, მაგრამ რაც არის ნაგულისხმევი, გვგონია ყველათვის ცხადია. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც უახლეს ძიებათა გარეშე არის დარჩენილი და რომელიც მტკრიან დღესავით გადაშლილია თვალწინ.

როცა დაკვირვებით ათვალთვინებთ ჩვენი დროის ნაწერებს, ორი პოლიუმის სახით გეჩვენებათ ლიტერატურული ძალების დაგროვება. ერთი – ახლები, რომელთა ყოველი სიტყვა ჩვეულებრივ ადგილიდან გადასმულია, ყოველი განცდა გამრუდებული, ყოველი აზრი – სწული და ზოგჯერ „უცნაურიც“, ყოველი სახე – „უჩვეულო“ და სხვ. და სხვ. სულ სხვა საკითხია, რამდენადაა ყოველივე ეს შინაგანი სტიმულების რეალიზაცია, რამდენია ყველა ამაში სიყალბის თუ სიმართლის დოზა. ფაქტია, რომ აქ დარღვეულია „ძველი“ წესი და თუნდ მხოლოდ ამ „დარღვევაში“ არის მოცემული მათი სიახლის შესატყვისიც. მეორენი კი, რომლებსაც ფიქრადაც არ მოსდით, რომ შეიძლება წინადადების სხვაგვარად წარმართვა, რომ შეიძლება განცდათა გაღრმავება და გამახვილება, რომ აზრი დაბახანის საქონელი არ არის და, სახეთა განმეორება რომ უფრო ძნელად მოსათმენია, ვიდრე რომელიმე დაბალი დანაშაული.

ეს „ძველები“, ჩემის აზრით, გარდა საკუთარს უვარგისობისა, სხვის „ცოდვის“ მტვირთველნიც არიან, რადგან გვგონია, რომ „ახალთა“ უგზობა და დაფანტულობა, ერთი მხრივ, მათი მწერლობის შედეგიც არის. ამ „ძველებმა“ თავისი მხატვრული კულტურის უქონლობის გამო სრულიად დაჰკარგეს ის ნიადაგი, რომელზედაც იდგნენ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი გიგანტები, როგორებიც იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. და იოლ „მწერლობაში“ ჩაფლულნი რძეს უშრობდნენ ქართულ პოეზიას. ესენი ჩადგნენ მეცხრამეტე საუკუნის და ახალთა შორის შუამავლებად, და იმდენი ბალასტი დააგროვეს თავის გარშემო, რომ ქართველ მკითხველს ქართულად ნაწერის ხალისი დაუკარგეს.

მათ ვერ შეჰქმნეს ვერაფერი ისეთი, რომ დაეინტერესებინათ ახალი თაობა, და ეს უკანასკნელნიც აქა-იქ გადაცვივდნენ, სადაც უკეთესი რამ ეგულებოდათ. ამ დანაშაულს ჩვენი „ძველი“ მანერის წარმომადგენელნი ალბად არცა ჰგრძობდნენ, და მიტომ არის, რომ კვლავ განაგრძობენ გაცვეთილი გზით სიარულს და

ერვენებათ, რომ ყოველგვარ გავლენას გადარჩენენ, თავისი შემოქმედება უმანკოდ შეინახეს, მომავალ პოეზიასაც (აქ მხატვრულ პროზასაც ვგულისხმობთ) უტოვე-ბენ ძვირფას მემკვიდრეობას.

ჰკითხულობთ მათ ნაწერებს და თავს გრძნობთ პირდაპირ მოვალედ, რომ აუცილებლად უნდა ნაიკითხოთ, თორემ ხალისი ძნელად დაგებადებათ. მათ ნაწერებში აუარებელია გალესილი ადგილები, უბირი აზროვნება, ყოვლად პრიმიტიული ფორმა და თითქმის არავითარი ერუდიცია. ამ მწერალთა განვითარების დონე, შეიძლება ითქვას, უფრო დაბალია, ვიდრე არა-მწერალთა. ინტელიგენციის, და, რასაკვირველია, ასეთ ხალხის შემოქმედება ვერ გახდება უფრო მეტის მცოდნეთა სიმპატიის საგნად. ზოგჯერ გულის-არევამდე და უკეთეს შემთხვევაში – მთქნარებამდე მიჰყევხართ ამ ბლუ მოთხრობებს, უსუსურ ლექსებს, გამოთავ-ვანებულ პიესებს, ნერვიულად შლით ფურცლებს და ერთად ერთი სინანულიცა რჩება თქვენში, რომ გაფუჭდა ამოდენა ქალაქი. იქნებ ვისმეს ეგონოს, რომ აქ უნიჭობასა აქვს ადგილი? არა.

ერთი ვეჭილის თქმისა არ იყვეს, ყველა ქართველი ბუნებით ნიჭიერია ისე რომ მხოლოდ ნიჭის მიხედვით ქართველი მწერლის თუ ვისიმე დაფასება არ შეიძლება. დასაფასებელი უფრო სხვა თვისებაა, რასაც ყურადღებას არ ვაქცევთ: შრომის უნარი. ეს ყბადაღებული რამ არის, რომელმაც კბილი მოგვჭრა კარგა ხანია, მაგრამ რაც უნდა მოძველდეს ამ თვისების აღნიშვნა, მაინც მას სიახლეს ვერ წაართმევენ, რაგან იგი ჯერ ქართულ ბუნებაში არ განხორციელებულა. გულ-დასმით შევადართო რომელიმე ქართული ნაწარმოები უცხოურს. რას მივიღებთ? იმას, რომ იქ, პირველ ყოვლისა, კულტურა გეცემათ თვალებში, ცოდნა, ღრმა დაინტერესება, რაც ხშირად ავტორის ნაკლებ ნიჭიერებას სავესებით ჰფარავს.

ჩვენში? რასაკვირველია, ამის რადიკალურად საწინააღმდეგოს, და უეჭვე-ლია, რომ დღეს, როდესაც მეცნიერება სასწაულებს ახდენს, როდესაც ფილოსო-ფია იკარგება ისეთ ლაბორინთებში, სადაც ყოველ მხრივ მხოლოდ სქეპსისი გხვევთ ხელებს და ანატომიურ დაშლამდე მიგაყვანიებთ ყოველ ცნებას, როდესაც ველარ არჩევთ, სად იწყება მხატვრული სიტყვა – დიახ, ასეთს პირობებში, სულ გენიოსიც რომ იყვეთ, მაინც ველარას შეჰქმნით, თუ თანამედროვე ძიების სიმალლეზე არ სდგებხართ. და არამც თუ ამ სიმალლეზე, ჩვეულებრივი ინტელიგენტური დონეც კი ხშირად სახარბიელოა ჩვენი მწერლებისათვის, მასიურად რომ აილოთ. და სთქვით გულახდილად, ვის რათ უნდა ასეთი ღირსების ლიტერატურა? – და ჩვენდა სამ-ნუხაროდ, ამ მდგომარეობის შეცვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურადაც.

დიახ, სიძნელეა, მაგრამ არა შეუძლებლობა. ხოლო ვითვალისწინებთ რა ჩვენი მწერლის ზოგად ტიპს, რომელსაც შეიძლება ყველაფერი აქვს, მაგრამ ნებისყოფა და ოჯახიდან წამოყოლილი თვით აღზრდის უნარი არა, – საკითხი ნათლად გამოჩნდება. და მთელი ჩვენი ყურადღებაც იქით უნდა იყვეს მიპყრობილი, რომ ქართველ მწერალს შევავანებინოთ შემოქმედებისათვის ესთეტიურად დიდი პასუხისმგებლობა. ან დაანებონ წერას თავი, ან არა და ეხლა დაიწყონ იმ „ახალი“ გზების ძიება, რომელიც ყველა დიდი ადამიანისთვის იყო ფრიად ნაცნობი, მაგრამ უცნობი ამოცანა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ურჩევდით იმავე ექსპერიმენტების

გამეორებას, რომლის დამწყებნიც ქვეყანას წარღვნით ემუქრებოდნენ. არა, ჩვენ გვინდა, რომ ის მეტად მნიშვნელოვანი და დიდი გზა, რომლის თავშიც ილია ჭავჭავაძე იდგა, ავსილიყოს ქართველ მაძიებელთა ხშირი მწყობრებით, და იმას კი არ სწერდნენ, რასაც ი. ჭ-ძე ნაჭედი სიტყვითა გამოთქვამდა, არამედ ახალს, რაც იმ ნათქვამის ორგანიულ ზედნაშენობას უნდა წარმოადგენდეს. დღეს ჩვენ ვერ მივიღებთ არამც თუ ნ. ბარათაშვილის და ი. ჭავჭავაძის განმეორებას, არამედ რუსთაველისასაც კი, რადგან ყოველ პერიოდს აქვს თავისი სტილი, გზნება და გამოცხადება.

ჩვენს ეპოქასაც უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი ანთება, საკუთარი გამოთქმის მანერა და შორ პერსპექტივების შემოქმედებითი გათვალისწინება. ეს კი დიდ ფიქრს მოითხოვს. ინტუიციის უჩვეულო განვითარების, ცოდნის მოცულობის ძალიან დიდ მასშტაბს. ჩვენმა „ძველებმა“ ეს ნიჭი ვერ გამოიჩინეს, და „ახალთა“ მაძიებელი თვალის უცხო სკენ გადაექანა; და დღეს, ორიგინალურ შემოქმედებად ხშირად საღდება გარეგნულად უხეიროდ გადმოცემული და შინაგანად შეუთვისებული ევროპის მოტივები რუსული ხელით მონოდებული. და როდესაც ჩვენ მკაცრად ვეკიდებით ამ „ახლებს“ და ნიადაგის დაკარგვას ვამ-ხელთ, „ძველებმა“ უნდა იცოდნენ, რომ ეს საყვედური მათი დამსახურებაც არის, და თავის შემოქმედებას კმაყოფილებით ნუ გადაჰფურცლავენ.

ზემო-თქმულიდან რა დასკვნა გამოდის? – „ახლები“ გზა ამცდარნი, „ძველები“ გზიდან დაუძვრელები. ორივე შემთხვევაში ქართული ლიტერატურის დეფექტიური მდგომარეობაა. ალბად ბევრი არ გაიზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვამბობთ, სანინალმდეგო აზრების მოსმენამდე, და თუ ჩვენი სიტყვა უსაფუძვლო აღმოჩნდება, დიდი სიხარულით დავხრით თავს დამორჩილების ნიშნად. ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა, მოვალეობა გვაძევს, რომ გზა გაკვლეულ იქმნეს, და ორივე მხრივ ვჭრათ ის უხეირო განშტოებები თუ გამხმარი ჯაგები, რომელნიც აბრკოლებენ ნამდვილ ქართულ მწერლობის მსვლელობასა და განვითარებას.

**Vakhtang Kotetishvili**  
**(Georgia)**

### **“Ballast” of Antiquity**

#### **Summary**

**Key words:** “old writing”, “new writing”, the condition of Georgian literature.

Vakhtang Kotetishvili is a rather outstanding figure of the beginning of the XX century and one of the most significant representatives of the process called “Georgian Renaissance” due to his wide-scale personality. Besides this, he was a type of a Renaissance art figure because of his way of life - he was as much interested in the literary-folkloristic scientific research as in sculptural arts along with history of arts and publicistic work.

Being the member of a popular socialist-federalist party, Vakhtang Kotetishvili strived to achieve the harmonization of social and national problems. As he also was a literary critic and the creator of a new Georgian aesthetics, Mr. Kotetishvili fully remained the follower of the ideas of Archil Jorjadze, the leader of the party and one of the founders of modernist art. Relying on the aesthetic theory of “a fine lie” by Mr. Jorjadze, Vakhtang Kotetishvili is a real reformer of the Georgian arts through his articles. However, he believed this reform was not going to do any harm to the identity of Georgian culture. Having created three volumes of the history of Georgian literature that relied on theoretical and methodological notions of Tennyson, Brandes and Jung, Vakhtang Kotetishvili not only enhanced with his solid work the successful process of our cultural genesis but he also saved the young reader of that time from the harmful influence of the Soviet ideological machine. The legacy of this gifted and versatile person is still timely nowadays.